

## სუბტროპიკული ხურმის სამომხმარებლო ღირებულება და წარმოების გაფართოების პერსპექტივები

ავთანდილ ცინცილაძე<sup>1</sup>; მერაბ არძენაძე<sup>2</sup>, ნუნუ კუტალაძე<sup>3</sup>, დოდო აბულაძე<sup>4</sup>

<sup>1</sup>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

<sup>2</sup>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

<sup>3</sup>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

<sup>4</sup>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი. მეცნიერ მუშაკი

### აბსტრაქტი:

სტატია მიმოხილვითი ხასიათისაა. გამოკვლეულია და წარმოდგენილია ხურმის ნაყოფების მორფოლოგიური მახასიათებლები, ბიოქიმიური მაჩვენებლები. მცენარის უპირატესობები სხვა ხილთან მიმართებაში. კვლევებით დგინდება, რომ ხურმის ნაყოფები მაღალი კვების ღირებულებით გამოირჩევიან, თუმცა მასზე მოთხოვნის ხარისხს და წარმოების მასშტაბებს ამცირებს მთრთიმლავი ნივთიერებების (ფლავანოიდების) მაღალი შემცველობა. თავისუფალი ფლავანოიდების მაღალი შემცველობა აუარესებს გემურ თვისებებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ფლავანოიდებს გააჩნიათ მაღალი ბიოლოგიური და სამკურნალო ღირებულება და მისი შემცველობა ხურმაში სხვა ხილთან შედარებით რამდენჯერმე მაღალია.

მიმოხილვის ანალიზმა აჩვენა, რომ თავისუფალი ფლავანოიდების მოცილებით გემური თვისებები უმჯობესდება, თუმცა სამკურნალო/ბიოლოგიური ღირებულება უარესდება. მიზანშეწონილია ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისა და ყურადღება გამახვილდეს ფლავანოიდების არა მოცილებაზე არამედ გადაფარვაზე სხვადასხვა გემური დანამატების გათვალისწინებით. რეკომენდირებულია რძეპროდუქტების დანამატების გამოყენება სიმწკლარტის გადაფარვისათვის და კვებითი და ბიოლოგიური ღირებულების გაზრდისათვის.

ხურმის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების გამარტივებით და გემური თვისებების გაუმჯობესების მოხერხდება ხურმაზე მოთხოვნილების ხარისხის გაზრდა, რაც

თავის მხრივ გამოიწვევს წარმოების მასშტაბების ზრდას. რეკომენდაცია ეძლევა ხურმის გადამამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიას და შუალედური ნახევარფაბრიკატული პროდუქციის (კონცენტრატებისა და ფხვნილების) წარმოებას, რაც გაზრდის ხურმაზე სეზონის ხანგრძლივობას.

**საკვანძო სიტყვები:** ხურმა, ხურმის პროდუქცია, ხურმის გადამამუშავება

წინამდებარე სტატია მიმოხილვითი ხასიათისაა და მისი მიზანი იყო გამოგვეკვლია საქართველოში გავრცელებული ადმოსავლური ხურმის წარმოების გაფართოების მიზანშეწონილობა და პერსპექტივები საქართველოსა და მსოფლიო მიღწევების შესწავლის საფუძველზე. ამ მიმართულებით ჩვენი სამეცნიერო გუნდი მუშაობდა 1985-2000 წლებში, მაგრამ პროექტების დაფინანსების შეწყვეტის გამო სამუშაოები იქნა შეჩერებული და დაკონსერვებული. ამჟამად გამოინახა საშუალებები ხურმის პროექტის აღდგენისა და გაგრძელების, რაც გვადლევს საშუალებას გავაგრძელოთ სამეცნიერო პრაქტიკული ღონისძიებები ხურმის მოხმარების გაზრდის და წარმოების გაფართოების საფუძველების შესაქმნელად.

სუბტროპიკული ხურმა ერთ ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის. ის მაღალი მოსავლიანობით, კვებითი ღირებულებით, ბუნებრივ პირობებთან მაღალი შემგუებლობით და გამძლეობით, წარმოების დაბალი დანახარჯებით გამოირჩევა. მიუხედავად ამ უპირატესობებისა მისი გავრცელების მოცულობა სხვა ხეხილოვნებთან შედარებით დაბალია. ჩვენი კვლევები აჩვენებს, რომ ნაყოფი ძირითადად გამოიყენება ნედლი სახით. წარმოების საერთო მოცულობის მცირე რაოდენობა გამოიყენება ჩირის წარმოებაში და უფრო მცირე რაოდენობა გადამამუშავდება ალკოჰოლური სასმელებისათვის. ჩვენი მრავალი მეცნიერი ცდილობდა ტექნოლოგიური გადამამუშავების განვითარების გზით გადაეწყვიტა წარმოების მოცულობების გაზრდის პრობლემა, თუმცა ობიექტური, თუ სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენით პრობლემა ვერ მოგვარდა.

საქართველო 2022 წლის სტატისტიკით /85/ აწარმოებს 15,4ატ.ტონა ხურმის ნაყოფს, რომელიც არის მსოფლიო წარმოების მოცულობის დაახლოებით 0,3%, თუმცა ამ მცენარეს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ეკონომიკისათვის. აქედან ხდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დახურული სივრცის მომარაგება ნედლი ხურმის ნაყოფითა და ჩირით. დღეისათვის ეს ბაზარი გახსნილია და გაჩნდა საკმაოდ მძლავრი კონკურენცია ამ სივრცეზე. იმისათვის, რომ ეს ბაზრები არ დაიკარგოს ქართული ეკონომიკისათვის საჭიროა ბაზრებს შევლავაზოთ უფრო მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტები.

საქართველოში გავრცელებულია და პრაქტიკული მნიშვნელობისაა სამი სახის ხურმის მცენარე /86/: ვირჟინიული, კავკასიური და ადმოსავლური (სუბტროპიკული) ხურმა. პირველი ორი გამოიყენება საძირედ, მესამე სანაყოფედ. საქართველოში სანაყოფე ხურმის ჯიშები 1888-

1889 წწ შემოიტანეს იტალიიდან (ძირითადად იაპონური ჯიშები). ის კარგად შეეგუა საქართველოს ბუნებრივ პირობებს და ციტრუსებისაგან განსხვავებით დღეს საქართველოს ყველა რეგიონში გვხვდება. საჰექტარო მოსავლიანობა 40 ტონამდეა.

საქართველოში გავრცელებულია ხურმის 100-ზე მეტი ჯიში. ისინი დამწიფების მიხედვით იყოფიან: ადრემსხმოიარე (ოქტომბრის ბოლო-ნოემბრის დასაწყისი) - ტსურუ-ნოკო, გომო-გაკი, ტანენაში, ნიტარი, XX საუკუნე, მინო-ტსურუ, სიდლესი; საშუალო (ნოემბერში) - ხიაკუმე, ტსურუ-გაკი, ხაჩია, კურო-კუმა, ზენჯი-მარი, გომო, ფუიო; გვიანმსხმოიარე (ნოემბრის ბოლო-დეკემბერი) - ტსურუ, დჟირო, ტომოპანი, ჩინებული, ტაკურა, გეილი, იემონი, კიარა, დაი-დაი-მარუ, აიზუ მიშირაზუ /76/.

სიმწკლარტის ხარისხის მიხედვით ხურმა იყოფა: მწკლარტე - ხაჩია, ტანენაში, გომო, ტამოპანი, სიდლესი, ადრეულა, სოიო, აიზუ მიშირაზუ, ემონი, კოსტატა; არამწკლარტე - ჩინებული, XX საუკუნე, ფუიო; ვარირებადი (რომელთა სიმწკლარტე დამოკიდებულია დამამტვრიანებელზე) - ხიაკუმე, გომო-გაკი, ზენჯი-მარუ, ტსურუ-ნოკო, გეილი, მარუ, კურო-კუმა, ტეიდელმონი /76/.

შედარებით მსხვილი ნაყოფებით გამოირჩევა შემდეგი ჯიშები, მმ<sup>3</sup>: ხაჩია - 234,8, ხიაკუმე - 176,8, ტომოპანი დიდი - 224,1, ჩინებული - 166,5, გომო-გაკი - 161,0, სიდლესი - 137,3; წვრილი ნაყოფებით შემდეგი ჯიშები, მმ<sup>3</sup>: ზენჯი მარუ - 107,0, აიზუ მიშირაზუ - 99,7 /76/.

ხურმის წარმოშობა ჩრდილოეთ ჩინეთია /74/. ის ნარას პერიოდში (710-794წწ) შეიტანეს იაპონიაში. იქ ხურმის 800-დან 1000-მდე ჯიშია/73/. ხურმა გავრცელებული პროდუქტია მისი ტრადიციული წარმოების ქვეყნებში: ჩინეთში, სამხრეთ კორეაში და იაპონიაში /3/. ბოლო პერიოდში /4/ მისი პოპულარობა გაიზარდა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბრაზილია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია. აქედან ხურმის უმსხვილესი მწარმოებელია ჩინეთი (3,03მლნ.ტონა), მას მოყვება ესპანეთი (400000 ტონა), სამხრეთ კორეა (300000 ტონა), იაპონია (225000 ტონა), ბრაზილია (182000 ტონა). პორტუგალიაშიც იზრდება ხურმის პლანტაციების მოცულობები. საერთო ჯამში ხურმის წარმოების მსოფლიო მოცულობა შეადგენს 5 მლნ ტონამდე, რომელიც არის 0,75% ხილის მსოფლიო წარმოების. ხურმა სეზონური პროდუქტია. ის ხელმისაწვდომია წლის ძალიან მოკლე პერიოდში. მისი ყიდვა ევროპაში შესაძლებელია გვიან შემოდგომაზე და ზამთრის დასაწყისში (სექტემბერი-დეკემბერი) /5,6/.

კავკასიაც ითვლება ხურმის სამშობლოდ. აქ გავრცელებულია კავკასიური ხურმის სახეობები. საქართველოში გვხვდება 190-მდე სახეობა და 100-მდე ჯიში. მათი ნაწილი ნაყოფისმომცემია, ნაწილი გამოიყენება, როგორც ძვირფასი მერქანი. ნაყოფისმომცემი მცენარეების ჯიშები ძირითადად შემოტანილია იაპონიიდან, არის ადგილზე გამოყვანილი ჯიშებიც. ხურმის მოსავლის აღება ხდება ოქტონბერ-დეკემბრის პერიოდში /76/.

ხურმაზე მრავალი კვლევაა ჩატარებული. ზოგიერთი ავტორის კვლევის შესაბამისად ნაყოფი შეიცავს 80,3% წყალს, 0,58% ცილებს, 0,19% ცხიმებს, 18,6% ნახშირწყლებს და ზოგიერთ მინერალებს (კალციუმი, კალიუმი, მაგნიუმი, ნატრიუმი, რკინა, თუთია, სპილენძი, მარგანეცი, ფოსფორი, სელენი), 1,48გრ უჯრედის და 7,5მგ ასკორბინის მჟავას /21,22/. ხურმის

კვებითი და ბიოლოგიური ღირებულების შესახებ დეტალურად არის აღწერილი სამეცნიერო წყაროში /2/, რომლის მიხედვითაც რეკომენდირებული დღიური ნორმა ხურმის შეადგენს 100-150გრ-ს /23/.

დიდია ქართველი მეცნიერების წვლილი ხურმის ნაყოფის შესწავლაში. გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩატარდა ფუნდამენტალური კვლევები ამ მიმართულებით. შესწავლილი იქნა 27 სახეობის ხურმის ნაყოფის ბიოქიმიური მაჩვენებლები /76/. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხურმის ნაყოფი მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტია. მშრალი ნივთიერების შემცველობა ვარირებს 14,1-22,4%-ის ფარგლებში. მათ შორის შაქრები მოცემულია გლუკოზა-ფრუქტოზის სახით და შემცველობა ვარირებს 14,2-20,5%-ს ფარგლებში. საქაროზა მოცემულია ძალიან მცირე რაოდენობით - 0,2-2,4%-ის ფარგლებში. დიდია პექტინის შემცველობა - 0,5-2,1%-ის ფარგლებში (ძირითადად პროტოპექტინი). ხურმა გამოირჩევა დაბალი მჟავიანობით - 0,004-0,17%-ის ფარგლებში. განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიფენოლების შემცველობა, რომელიც ვარირებს 0,06-2,35%-ის ფარგლებში. მათ შემცველობაზეა დამოკიდებული სიმწკლარტის შეგრძნება. კვლევებით დგინდება, რომ ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს მოთხოვნილების ხარისხს ბაზარზე. შედარებით მაღალია მოთხოვნილება არამწკლარტე ხურმის ნაყოფებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ პოლიფენოლების შემცველობა განსაზღვრავს ხურმის ნაყოფების მდგრადობას სხვადასხვა ფიტოპათოგენური მიკროორგანიზმების მიმართ. ხურმის ნაყოფებში ვიტამინ C-ს შემცველობა ციტრუსებთან შედარებით დაბალია (7,4-26,6მგ%). მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფები მოყვითალო ფერისაა, ხურმაში კაროტინოიდების შემცველობა დაბალია - 0,033-0,38მგ%. როგორც ჩანს ყვითელ ფერს განსაზღვრავს ლიკოპინი, რომელიც 10-20-ჯერ მაღალია კაროტინთან შედარებით /76 /.

ჰუსეინინეჯადი, გონსალესი და ჰერნანდო თავიანთ კვლევებში /55/, თემაზე „კვების პროდუქტებისა და ინგრედიენტების წარმოება აგროსამრეწველო გადამამუშავების თანმდევი პროდუქტების ღირებულების გაზრდის ხარჯზე“ აცხადებენ, რომ ხურმა მდიდარია კვებითი და ბიოაქტიური ნივთიერებებით. თუმცა მალფუჭადობის, დაბალი შენახვისუნარიანობის, ტრანსპორტაბელობის და სხვა ფაქტორების ზეგავლენით მაღალი დანაკარგებით გამოირჩევა. ამიტომ ისინი თავის კვლევებს მიმართავენ ხურმისათვის უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავების მიმართულებით, რაც ითვალისწინებს ძვირფასი ნარჩენების მართვას და ახალი სახის პროდუქტების წარმოებას.

სტატიაში /1,2/ აღნიშნულია, რომ ხურმის ფიტოქიმიური პროფილი შედგება კაროტინოიდებისაგან, ანტოციანინებისაგან, ორგანული მჟავებისა და ფენოლური ნაერთებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ მის ბიოლოგიურ ღირებულებას. ეს ნივთიერებები აუმჯობესებენ ადამიანის ჯამრთელობას და ამცირებენ გულსისხლძარღვთა, სიმსივნურ, დიაბეტურ, სიმსუქნის დაავადებებს. მიზანშეწონილია გლობალური სასურსათო კრიზისის პირობებში კვების რაციონში ხურმის პროდუქტების ჩართვა. აგრეთვე უნდა გაფართოვდეს ხურმის გამოყენება სხვადასხვა პროდუქტების (ბიოსაწვავი, ნატურალური საღებავები,

ზრდის რეგულატორები, ბიოდეგრადირებადი პოლიმერები, ანტიმიკრობული პრეპარატები, ემულგატორები) მისაღებად. უნდა მოხდეს უნარჩუნო წარმოება.

საკვები ნივთიერებები უფრო მეტი რაოდენობითაა კანში ვიდრე რბილობში /7/, თუმცა როგორც წესი ის იყრება ნედლი მოხმარებისას და ჩირის წარმოებისას. ჩირის წარმოება ფართოდაა გამოყენებული ჩინეთში და იაპონიაში და ის გამოიყენება მრავალ კულინარიულ რეცეპტში /8/.

ხურმა ფართოდ გამოიყენება ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში (ჰიპერტონია, სისხლჩაქცევა, სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება, ჟანგვითი პროცესების შენარჩუნება, დიაბეტი, ათეროსკლეროზი) /9, 10, 11/. ის ასევე გამოიყენება ფილტვებისა და კუჭნაწლავის პროფილაქტიკური მკურნალობისათვის, ყელის ტკივილის, სარძევე ჯირკვლების პრობლემების და უძილობის დროს /12, 13/.

ზოგიერთი კვლევით ხურმას აქვს სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტი /14,15/, იცავს დისლიპიდემიისაგან /16/, ხელს უწყობს ანტიჰიპერქოლესტერინემიურ, ანტიოქსიდანტურ და დიაბეტის საწინააღმდეგო ზემოქმედებას /17,18,19/. ეს თვისებები პირდაპირ კავშირშია ხურმის ანტიოქსიდანტებთან, ვიტამინებთან, ფენოლურ ნაერთებთან და კაროტინოიდებთან /13,20/.

თუ შევადარებთ სუბტროპიკული ხურმის ბიოლოგიურ და კვებით ღირებულებას საქართველოში გავრცელებულ სხვა სახის ხილთან, დავინახავთ რომ მისი მაჩვენებლები არაფრით ჩამოუვარდება მაღალი კვებითი ღირებულების არც ერთი ხილის კვებითი ღირებულების მაჩვენებლებს (ლევდი, ყურძენი, ვაშლის ზოგიერთი ჯიშები), ხოლო ციტრუსებზე გაცილებით მაღალი კვებითი ღირებულება გააჩნია.

ჩვენი კვლევების შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტექნოლოგიური პრობლემების მოგვარების შემთხვევაში ხურმა შეიძლება იქცეს მაღალრენტაბელურ ნედლეულად და ეკონომიკაში მნიშვნელოვანი შემოსავლები მოიტანოს. აღსანიშნავია, რომ მცენარე მაღალყინვაგამძლეა (ტემპერატურული მინიმუმი  $-20^{\circ}\text{C}$ ) ციტრუსებთან შედარებით ტემპერატურული მინიმუმი  $-3-7^{\circ}\text{C}$ ), მაღალმოსავლიანი და დაბალხარჯიანია. აღნიშნული მდგომარეობა მოითხოვს გამოსწორებას და ამ პრობლემის მოხსნისათვის საჭიროა მუშაობა სელექციური და ტექნოლოგიური გაუმჯობესების მიმართულებით.

ყველაზე მეტად საყურადღებოა ხურმის ფენოლური ნაერთები. ისინი ერთი მხრივ განსაზღვრავენ მის მაღალ ბიოლოგიურ ღირებულებას, ხოლო მეორეს მხრივ აუარესებენ გემოვნურ თვისებებს, რაც ჩვენი აზრით ძალიან ამცირებს მოთხოვნილების ხარისხს ამ ნაყოფზე. ამიტომაც მეცნიერები და პრაქტიკოსები ცდილობენ გამონახონ გზები ფენოლური ნაერთების შემცირებისკენ. დღეისათვის პრაქტიკაში იყენებენ ნაყოფების დამუშავებას (ეთილენში,  $\text{CO}_2$ -ში, 2% ჰექსინის ხსნარში, ფერმენტულ პრეპარატში, სირიფებში და სხვა), რაც ართულებს ტექნოლოგიურ პროცესებს და ზრდის დამუშავების დანახარჯებს და დროს.

აღსანიშნავია ის, რომ ხურმიდან ფენოლური ნაერთების მოცილება აუმჯობესებს გემოვნურ თვისებებს, თუმცა უარესდება ბიოლოგიური ღირებულება. აღსანიშნავის ფენოლური ნაერთების ანტიოქსიდანტური თვისებები (რეაქცია თავისუფალ რადიკალებზე და მეტალების, მათ შორის მძიმე მეტალების ხელატირება), რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსიკური ელემენტების გამოდევნას და განსაზღვრავს მის რადიოპროტექტორულ თვისებებს /24,25,26/. ამიტომაც ეს ნივთიერებები გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში /27, 28/ და იყენებენ სიმსივნური დაავადებების (კიბო) და გულსისხლძარღვთა პათოლოგიების სამკურნალოდ. დამატებით ფენოლურ ნაერთებს ახასიათებს სხვა მნიშვნელოვანი თვისებები, როგორებიცაა ანტიატეროგენული, სიმსივნის საწინააღმდეგო და ანთების საწინააღმდეგო თვისებები.

საინტერესო ანალიზები აქვთ გაკეთებული მეცნიერებს ჩენს, ფანს და მათ კოლეგებს /29/. კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ხურმა შეიცავს ეპიგალოკატექინებს, ეპიკატექინებს, კატექინებს, ქლოროგენურ მჟავას, გალის მჟავას და კოფეინის მჟავას. მათი შედარების მიხედვით ხურმაში ფენოლების საერთო რაოდენობამ შეადგინა 170მგ/100გრ, ყურძენში 100მგ/100გრ, ვაშლში 40მგ/100გრ, პომიდორში 20მგ/100გრ /29, 30/.

ხუმის მწკლარტე გემოს განსაზღვრავს კონდენსირებადი მთრმთიმლავი ნივთიერებები (ანუ პროანტოციანიდინები), რომლებიც განლაგებულია სპეციფიკური უჯრედების ვაკუოლებში. მათ უწოდებენ „ტანინურ უჯრედებს“, ისინი პასუხს აგებენ სიმწკლარტეზე, ანუ სიმშრალის და სიმწკლარტის შეგრძნებაზე ანუ პერორალური (პირის ღრუს) ცილების შედეგებზე /31/. დამწიფებასთან ერთად ტანინის შემცველობა მცირდება და მცირდება მწკლარტე გემოს წარმოქმნის რისკიც მწკლარტე ხურმებში /32/. მწკლარტე გემოს შემცირება დამოკიდებულია არა მარტო ტანინის შემცირებასთან, არამედ ხსნადი ტანინების გადასვლასთან უხსნად ფორმაში /33/. აღსანიშნავია ისიც, რომ დამწიფებასთან ერთად ხურმის მწკლარტე ჯიშებში ხსნადი ტანინების მნიშვნელოვანი რაოდენობა რჩება /34/.

დღევანდელ პირობებში ძალიან გაზრდილია ჟანგვითი სტრესის დაავადებები, როგორებიცაა ათეროსკლეროზი, ანთებითი და სიმსივნური დაავადებები /35/. დადგენილია, რომ ფენოლური ნაერთები ზემოქმედებს ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა სიმსივნე, ათეროსკლეროზი, გულსისხლძარღვთა დაავადებები, ჰიპერტენზია, შაქრის დიაბეტი, იშემიური/რეპერფუზიური დაზიანება, ნეიროდეგენერატიული დაავადებები (მაგალითად პარკინსონის და ალცგეიმერის დაავადებები) /35/. დადგენილია კავშირი ჟანგბადის აქტიური ფორმებისა სიმსივნესთან, გულსისხლძარღვთა სისტემებთან. ანტიოქსიდანტები ითვლება ძალიან პერსპექტიულ საშუალებად აღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ. ამიტომ ფენოლური ნაერთებით (ეპიგალოკატექინი, ეპიკატექინი, კატექინი, ქლოროგენის მჟავა, გალის მჟავა, კოფეინის მჟავა), კაროტინით, პროციანიდინით, ასკორბინის მჟავით მდიდარი ხილ-ბოსტნეულის დიეტა ამცირებს ამ მძიმე დაავადებების რისკს /29, 36, 37, 38/. ხურმის ფენოლური ნაერთები 20-ჯერ უფრო ეფექტურია ვიდრე კლასიკური ანტიოქსიდანტი ვიტამინი E /39/. ფენოლური მჟავების ძლიერი ანტიოქსიდანტური პოტენციალი დამტკიცებულია ზოგიერთი ავტორის მიერ /40,41/. in vivo ორ in vitro კვლევები ადასტურებს,

რომ ხურმის ქიმიური შემადგენლობა ზემოქმედებს და იცავს ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისაგან და აქედან გამომდინარე ადამიანს თავიდან აცილებს ზოგიერთ დაავადებებს /42, 43, 44, 45, 46/.

ხურმის სიმწკლარტეს განსაზღვრავს ტანინები, რომელიც არის ეპიგალოკატეჩინის, ეპიკატეჩინის და მათი გალოილური ნაერთების კონდენსაციის პროდუქტი. დამწიფების პროცესში ხურმის ნაყოფში წარმოიქმნება აცეტალდეჰიდი და წარმოიქმნება განივი კავშირები წყალში ხსნად ტანინებთან და წარმოიქმნება უხსნადი ტანინის პოლიმერები, რაც ამცირებს სიმწკლარტეს. ამას გარდა დამწიფების პროცესში წყალში ხსნად ტანინზე ზემოქმედებს ჟანგითი პოლიმერიზაციის პროცესები, რომელშიც მონაწილეობს ფერმენტი პოლიფენოლოქსიდაზა და ტანინი ხდება უხსნადი პოლიმერი, რაც ამცირებს სიმწკლარტეს და ზრდის სიტკბოს მაჩვენებელს.

კვლევები ამ მიმართულებით ჩატარებულია საქართველოშიც, გასული საუკუნის 50-70-იან წლებში მეცნიერების ნიჟარაძის, ფიშმანის და სხვა კვლევების მიერ /76, 77, 78/. მათი მტკიცებით ხურმის მწკლარტე გემო დაკავშირებულია მთრმთიმლავი ნივთიერებების (პოლიფენოლების) შემცველობასთან. მართლაც, მწკლარტე ჯიშებში (ხაჩია, ტანენაში) პოლიფენოლების შემცველობა მერყეობს 1,84-1,87%-ის ფარგლებში, ხოლო არამწკლარტე ჯიშებში (ჩინებული, XX საუკუნე) 0,25-0,48%-ის ფარგლებში. ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მწკლარტე ხურმის ჯიშებში დამწიფებასთან ერთად იცვლება მასში შემავალი მთრმთიმლავი ნივთიერებების შემადგენლობა. მაგალითად ხურმა ხაჩიაში თავისუფალი და შეკავშირებული მთრმთიმლავი ნივთიერებები დამწიფებასთან ერთად იცვლება შემდეგნაირად, %: მწვანე ნაყოფი: თავისუფალი 0,83%, შეკავშირებული 0,28%; ტექნიკური სიმწიფის ნაყოფი: თავისუფალი 0,38%, შეკავშირებული 0,67%; მწიფე ნაყოფი: თავისუფალი 0%, შეკავშირებული 1,05% /76/. ასეთივე კანონზომიერებით იცვლება მთრმთიმლავი ნივთიერებები სხვა სახის ხურმის ნაყოფებშიც. თერმული დამუშავების პროცესში ხურმის მწკლარტე გემო განიცდის აღდგენას, ე.ი. ამ პროცესში შეკავშირებული მთრმთიმლავი ნივთიერებები იშლება თავისუფალ მთრმთიმლავ ნივთიერებად, რაც აღადგენს მწკლარტე გემოს. აქედან გამომდინარე სიმწკლარტის გასანეიტრალებლად ყურადღება უნდა მიექცეს თავისუფალი მთრმთიმლავი ნივთიერებების მოცილების ან გადაფარვის პროცესებს.

ბოლო პერიოდის მსოფლიო კვლევები ძირითადად მიმართული იყო ხურმის ბიოფიზიოლოგიური ფუნქციების განსაზღვრაზე. ის ითვალისწინებდა ანტიოქსიდანტურ, ჰიპოლიპიდემიურ, ათეროსკლეროზული პროფილაქტიკის, ანტისიმსივნურ და ანტივირუსული აქტიურობის კვლევებს /55,56/. სასურსათო დეფიციტის პირობებში აქტუალური გახდა ნარჩენების (კანი, თესლები, გამოუყენებელი რბილობი) გადამუშავება, რათა გაადვილდეს მათი მოხმარება. აგრეთვე ეს ხელს უწყობს ლოჯისტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტასაც /57, 58, 59, 60/. ნარჩენების (გვერდითი პროდუქტების) გადამუშავება თანხმდება მდგრადი განვითარების მიზანთან, რომელიც გათვალისწინებულია გაეროს 2030 წლამდე მდგრადი განვითარების დღის წესრიგით /61/.

ხილბოსტნეულის ბაზრების გლობალიზაციამ გამოიწვია გადაჭარბებული წარმოება და პოტენციურად ძვირფასი ნარჩენების წარმოქმნა. გლობალური ბუნების დაცვის ღონისძიებები აიძულებს წარმოებებს შეამცირონ ნარჩენები, რადგან ისინი უარყოფითად ზემოქმედებენ ბუნებაზე. აღნიშნულის გამო ნარჩენების შემცირებისა და უნარჩენო ტექნოლოგიებზე მოთხოვნილებები იზრდება. იზრდება მოთხოვნები მაცხოვრებელთა ჯამრთელობის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. ბაზრებზე გაჩნდა ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, ფუნქციონალური დანიშნულების პროდუქტები. ისინი ძირითადად იწარმოება ნარჩენების საფუძველზე /47/. ლუკას გონსალესმა და მისმა კოლეგებმა წარმოადგინეს ხურმის ფქვილი, რომელიც მიიღეს ხურმის წვენი ნარჩენებისგან (გამონაწიხებისგან). კვლევებმა დაადგინა ხურმის ფქვილის ხელატური აქტიურობა რკინის იონების მიმართ, ანტიოქსიდანტური აქტიურობა, რადიკალების მიმართ აქტიურობა. კვლევების საფუძველზე გაიცა რეკომენდაციები კვების პროდუქტებში ხურმის ფქვილის ჩართვის თაობაზე, იმისათვის რომ შეივსოს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დეფიციტი /48/. ცდები ჩატარებული იქნა ფქვილურ პროდუქტებზე, რძეპროდუქტებზე, პასტებზე და სხვა /49, 50, 51, 52/.

სავაზე და მისი კოლეგები კვლევებში /73/ ამტკიცებენ, რომ 1000მ<sup>2</sup> ფართობზე დამწიფების პროცესში იკარგება 100-400კგ ხურმა. საერთო ფართობებზე გადაანგარიშებით ეს არის ძალიან დიდი გამოყენებული რესურსი, რომელიც მიზანშეწონილია იყოს გამოყენებული ხანდაზმული ადამიანების კვებაში მასში შემავალი ბიოაქტიური ნივთიერებების გამო. მათ გამოყვეს და იდენტიფიცირება გაუკეთეს 12 კომპონენტს დაუმწიფებელი ხურმიდან. აღმოჩნდა, რომ ეს ნივთიერებები მაღალი ბიოაქტიურობით გამოირჩევიან და ხანდაზმულთა კვებაში მნიშვნელოვანია. დადგინდა კატეჩინის და მისი პოლიმერული ფორმის პროციანიდინის მაღალი აქტიურობა. აგრეთვე დაადგინეს, რომ 500 მგ/ლ კონცენტრაციის ხურმის ექსტრაქტი ვერ იწვევს ანტიმიკრობული ზემოქმედებას. ამ კვლევების საფუძველზე მათ შეიმუშავეს აქტიური ნივთიერებების მიკროკაფსულირების ტექნოლოგიური პროცესი და ფიქრობენ მომავალში მოახდინონ კლინიკური კვლევები. მიღებული შედეგები ამტკიცებენ დაუმწიფებელი ხურმის ექსტრაქტების მაღალ პოტენციალს ხანდაზმულების პროფილაქტიკური მკურნალობისათვის და კვებისათვის მნიშვნელოვანი რესურსია.

სტატიაში /53/ აღწერილია ხურმის წვენების წარმოების შესახებ. გაყიდვების ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელებულია სიმწკლარტე. ჩატარებული იქნა ცდები, რათა სიმწკლარტე არ გაზრდილიყო. თერმული დამუშავების შემდეგ (კუაგულაციის ტემპერატურამდე) ახდენენ გამოწიხებას და მიღებულ წვენს ამატებენ წყალს, ლიმონმჟავას და ფერმენტს „ამილაზა XML“. დაადგინეს, რომ ამილაზა 0,005%-ის ოდენობით ნაყოფების მასიდან აჩერებს სიმწკლარტის მომატებას. სხვა ნივთიერებების დამატებამ დადებითი შედეგი არ გამოიღო.

მასუდ სადიქ ბატ და მისი კოლეგები სტატიაში /54/ აღწერენ, რომ ადამიანის კვება დაკავშირებულია ჯამრთელობასთან, ამიტომ მიზანშეწონილია შეიქმნას ფუნქციონალური (განსაზღვრული თვისებების პროდუქტები), რომლებიც დადებითად იმოქმედებენ



ჯამრთელობაზე. ერთ ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია ხურმა, რომელშიც შემავალი ფლავანოიდები დადებითად მოქმედებენ ისეთ დაავადებებზე, როგორებიცაა გულსისხლძარღვთა დაავადებები, ჟანგვითი სტრესი, შაქრის დიაბეტი და სხვა.

ხურმა ძირითადად გამოიყენება ნედლი სახით, თუმცა ბოლო წლებში გამოვიდა ახალი სახის სამრეწველო პროდუქტები, როგორებიცაა წვენები, ჯემი, გაუწყლოვებული ნაყოფი. მშარლი ხურმა იყიდება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ტრადიციული (ჩინეთი, კორეა, და იაპონია /62/. ხურმის ფხვნილი გამოყენებული იქნა ღორის ღვიძლის პაშტეტის და პასტების რეცეპტურებში /63, 64, 65/, ხურმის ნაყინი და რძეპროდუქტები /66, 67/, ძმარი /68/, ღვინო /69/ და ხურმის სანელებელი /58, 59, 60/.

ხურმის მწკლარტე ჯიშები შეიცავენ 1-2% ხსნად ტანინებს და გააჩნიათ ძლიერი მწკლარტე გემო. CO<sub>2</sub>-ით ან ეთანოლით ანაერობული დამუშავება ზრდის აცეტილალდეჰიდის შემცველობას და აქრობს მწკლარტე თვისებებს. ფიქრობენ /75/, რომ ხურმის პოლიფენოლები მონაწილეობენ დიაბეტის გართულების, ათეროსკლეროზის, სიმსივნური, მეტასტაზირების, ანთებით, ოსტეოპოროზის, კანის დაბერების პროცესებში. სამკურნალო მიზნით შექმნეს კაფსულები, რომელსაც ცუდი გემური თვისებები გააჩნდა, ამის გადასაფარად კაპსულირების პროცესებში გამოიყენეს ციტრუსის არომატიზატორები (ციტრალი), რათა კაპსულის გემური თვისებები გაუმჯობესებინათ. აღსანიშნავია, რომ ფენოლურ ნაერთებს გადამუშავების პროცესში უყალიბდებათ ცუდი გემო და არომატი, წამლის მძაფრი გემო.

პრეპარატის მიღების პროცესი ხდებოდა შემდეგნაირად: დაუმწიფებელ მწკლარტე ხურმას გააცალეს კანი, რბილი დააბლენდერეს. შემდეგ ჩაუტარეს ჰომოგენიზირება და გააზავეს წყლით 3 ლ-მდე. ხსნარს დაუმატეს 7ლ მეთანოლი და დააყოვნეს ერთი კვირა ბნელ ადგილას. მიზანი იყო დაუწმენდელი ექსტრაქტების მიღება. დაწმენდა გაუკეთდა ვაკუუმ ფილტრაციით ნუტჩ-ფილტრზე და ჩაუტარდა კონცენტრირება ვაკუუმით. ექსტრაქტებიდან ბიოაქტიური ნივთიერებების გამოყოფა მოახდინეს ჰექსანით, შემდეგ 1-ბუთანოლით. ექსტრაგენტების 1-ბუთანოლიდან გამოყოფა განხორციელდა განმეორებითი ქრომატოგრაფიით სილიკაგელით და გელ-ფილტრაციით. მიღებული იქნა 12 კომპონენტი /73/.

ქართველმა მეცნიერებმა /76/ ხურმის ნაყოფიდან გამოყვეს პოლიფენოლების ჯამი, რომელიც წარმოადგენს თეთრი ფერის ამორფულ ფხვნილს და გააჩნია გამოხატული მწკლარტე გემო. ამ ფხვნილის ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები აჩვენებს, რომ მათ გააჩნიათ ლეიკოანტოციანური თვისებები, ანუ ხურმის პოლიფენოლების ძირითადი ნაწილი ლეიკოანტოციანებია. ამ ლეიკოანტოციანებიდან გამოყოფილი იქნა დელფინიდინი (ძირითადი ნაწილი) და ციანიდინი. ლეიკოანტოციანების პარალელურად პოლიფენოლების კომპლექსში აღმოჩენილია გალის მჟავა და კატექინური ბუნების ნივთიერებები. აღნიშნული მიუთითებს იმას, რომ მწკლარტე მთრმთიმლავი ნივთიერებები (პოლიფენოლები) P ვიტამინური აქტიურობისაა, რაც დადებითი მაჩვენებელია და განსაზღვრავს მის მაღალ ბიოლოგიურ ღირებულებას.

მსოფლიო მეცნიერები ბევრი მიმართულებით მუშაობენ რათა მიიღონ მომხმარებლისათვის მისაღები პროდუქცია. შედარებით გავრცელებული ფორმა ხურმის პროდუქტისა არის მშრალი ხურმა, რომელიც მიიღება ბუნებრივი შრობის შედეგად. ამ დროს ტექნოლოგიებში გათვალისწინებულია წინასწარი დამუშავების პროცესები. ხელოვნური შრობის გამოყენება ნაკლებად გამოიყენება, რადგან მშრალი პროდუქტის მიღებას ჭირდება ხანგრძლივი შრომა, რადგან პროცესის დაჩქარება იწვევს ზედაპირის გამაგრებას და პროდუქტი კარგავს სასაქონლო ღირებულებას. დროისა და ენერგოდანახარჯების გამო პრაქტიკოსები მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ ხურმის ხელოვნურ შრობას. კარგი შედეგები ვერ აჩვენა ჩიპსებისა და ჩხირების წარმოებამაც. სასაქონლო სახე მომხმარებლისათვის მიუღებელი არის. შედარებით კარგი შედეგები იქნა მიღწეული ხურმის სუბლიმაციური შრობისას /70/. ამ მეთოდის გამოყენებისას კარგად ნარჩუნდება ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები. გასათვალისწინებელია, რომ ეს მეთოდი ძალიან შრომატევადია და მაღალია ენერგოხარჯები, რაც ღირებულებას ზრდის /71/. ამავდროულად სუბლიმაციის წინ აუცილებელია სიმწლარტის (ხსნადი ტანინების) მოცილება რომელიმე მეთოდით, რადგან მიღებულ ნიმუშებს აქვთ მაღალი სიმლაშე /72/.

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის მიერაც ჩატარებული იქნა მრავალმხრივი ექსპერიმენტები შაქრის სიროფის, ეთილენის და ეთილენის ორთქლის, კირის რძით, ელექტრული დენის, ფერმენტული პრეპარატების, პექტინოვანი ხსნარების გამოყენებით. შედარებით დადებითი მაჩვენებლები და სიმწკლარტის მოცილება მოხერხდა ეთილენში და ეთილენის ორთქლში ნაყოფების დამუშავებისას და შემდგომი დაყოვნებისას სიროფებში, აგრეთვე შედეგი გამოიღო კირის რძეში და პექტინის 2% ხსნარში დამუშავებამ და შემდგომ სიროფში დაყოვნებამ. ექსპერიმენტები ცხადყოფს, რომ სიმწკლარტე გამოწვეულია თავისუფალი პოლიფენოლებით, ამიტომ პროდუქტთა წარმოებისას უნდა მოხდეს თავისუფალი პოლიფენოლების მოცილება ან შეკავშირება. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეკავშირებული (ადსორბირებული) პოლიფენოლები მაღალ ტემპერატურაზე (75°C-ზე ზევით) განიცდიან დესორბციას და მწკლარტე გემო კვლავ აღდგება. მხოლოდ ეთილენში დამუშავებისას წარმოიქმნება მყარი შეკავშირებული ნივთიერებები და მწარე გემო არ აღდგება.

ექსპერიმენტების შედეგად შემუშავებული იქნა 30-მდე დასახელების პროდუქტების წარმოების სქემები (ხურმის ნატურალური და სხვა ხილის წვენებთან კუპაჟირებული წვენები, სიროფები, ჯემები, კონფიტური, პიურესმაგვარი კომპოზიციები, კონცენტრატები, ფხვნილები, ალკოჰოლური სასმელები, საკონდიტრო საჩურთები). სამწუხაროდ ეკონომიური კრიზისის ზეგავლენით იძულებული გავხდით პროექტები შეგვეჩერებინა და დაგვეკონსერვებინა მთელი 30 წლით. მაგრამ დადგა დრო, რომ ამ მიმართულებით კვლევითი სამუშაოები აღდგეს და გაგრძელდეს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი მიღწევები ხელმისაწვდომი გახდეს ამ სფეროთი დაინტერესებული მეცნიერებისა და პრაქტიკოსებისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოებიდან აღსანიშნავია ხურმის ექსტრაქტის კონცენტრატები 30, 45 და 65%-იანი მშრალი ნივთიერებების კონცენტრაციით. პროცესებში გამოყენებულია თერმული დამუშავების, გამოწნეხის და კონცენტრირების მეთოდები /79/. კონცენტრატები გამოირჩევიან კარგი შენახვისუნარიანობით, შემცველი ნივთიერებების მდგრადობით. მათი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სფეროში /80, 81, 82/. აგრეთვე ჩვენს მიერ კონცენტრატის საფუძველზე შემუშავებული იქნა მაგარი ალკოჰოლური სასმელი (რომის ტიპის), რომელშიც მაღალია ფლავანოიდების შემცველობა და დადებითად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე /83/, აგრეთვე ბავშვთა კვების კონცენტრირებული პროფილაქტიკური პროდუქტი /84/. კონცენტრატები ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა სხვადასხვა კომპოზიციებში, მათ საფუძველზე დამზადებული იქნა მაღალი გემური თვისებების პროდუქტები, რომელთაც გასდევს კაკაოსმაგვარი გემო. ტექნოლოგია გამორჩეულია იმითაც, რომ ითვალისწინებს უნარჩენო გადამუშავებას, კერძოდ კონცენტრატების წარმოების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები გამოყენებული იქნა ხურმის ფქვილის წარმოებაში.

კონცენტრატების მიღება განხორციელდა ღია ქვაბში და ვაკუუმის პირობებში. აღსანიშნავია, რომ კონცენტრატების დამზადების პროცესში გამოიყენება ხურმის ექსტრაქტები, რომლებიც მიიღება წყლით ექსტრაქციის შედეგად საექსტრაქციო ბატარეებში. იყო მცდელობა საკონცენტრაციო ხსნარები მიღებულიყო გამოწნეხის მეთოდით, მაგრამ შედეგები ვერ იქნა მიღებული, რადგან ამ მეთოდის გამოყენებისას წვენი გამოსავალი იყო დაბალი, რაც იწვევდა ნედლეულის მაღალ ხარჯს. წყლით თერმული ზემოქმედების შედეგად ხურმის დაქუცმაცებული მასა განიცდის კუაგულაციის მსგავს პროცესს. მყარი მასა ცალკეედება მასისაგან და ამის შემდგომ გაადვილებულია გამოწნეხისა და ექსტრაქციის პროცესებიც. ჩვენს შემთხვევებში კონცენტრირებისათვის გამოიყენებოდა 5-8% ექსტრაქტები.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს ჩვენი შედეგები თანხვედრაშია უცხოელი წამყვანი მეცნიერების შედეგებთან. შედეგები ადასტურებს ხურმისა და მისგან დამზადებული პროდუქტების მაღალ კვებით და ბიოლოგიურ ღირებულებას და მისი გამოყენება მიზანშეწონილია მაღალი გემოვნური პროდუქტების საწარმოოდ, აგრეთვე მიზანშეწონილია ცალკეული პროდუქტების ჩართვა პროფილაქტიკურ-სამკურნალო და ბავშვთა კვების პროდუქტების რეცეპტურებში.

## დასკვნა

ხურმის პროდუქციის კვლევების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ხურმა თავისი თავისი მორფოლოგიური მაჩვენებლებით, კვებითი და ბიოლოგიური ღირებულებებით ძალიან საყურადღებო ნაყოფია. ის მაღალი მსხმოიარობით საჰექტარო

მოსავლიანობა 40 ტონამდე), მაღალი ყინვა გამძლეობით (ტემპერატურული მინიმუმი - 20 - 25°C), ნიადაგებისადმი მაღალი შემგუებლობით, დაავადებების მიმართ მდგრადობით, მოვლის დაბალი დანახარჯებით გამოირჩევა;

- დადებითი მახასიათებლების მიუხედავად ხურმის ნაყოფზე მოთხოვნილება დაბალია ყველა ქვეყანაში (მსოფლიო წარმოება შეადგენს 5 მლნ. ტონას და ხილის მსოფლიო წარმოების მოცულობაში ხურმის წილი 0,75%-ია);
- ხურმაზე დაბალი მოთხოვნილება განპირობებულია ნაყოფების დაბალი შენახვის უნარიანობით, ტრანსპორტაბელობით და მაღალი სიმწკლარტის გამო;
- ხურმის კვებითი ღირებულება არ ჩამოუვარდება მაღალი მოთხოვნილების ხილის (ლევდი, ყურძენი, ვაშლის ზოგიერთი ჯიშები, ციტრუსები) ჯიშებს;
- ხურმის ბიოლოგიური ღირებულება მაღალია მასში შემავალი ბიოფლავანოიდების (ფენოლური ნაერთები) გამო, თუმცა ეს ნივთიერებები აუარესებენ გემურ ღირებულებას. ფენოლური ნაერთების ანტიოქსიდანტური თვისებები (რეაქცია თავისუფალ რადიკალებზე და მეტალების, მათ შორის მძიმე მეტალების ხელატირება), რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსიკური ელემენტების გამოდევნას და განსაზღვრავს მის რადიოპროტექტორულ თვისებებს. ამიტომაც ეს ნივთიერებები გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში და იყენებენ სიმსივნური დაავადებების (კიბო) და გულსისხლძარღვთა პათოლოგიების სამკურნალოდ. დამატებით ფენოლურ ნაერთებს ახასიათებს სხვა მნიშვნელოვანი თვისებები, როგორებიცაა ანტიატეროგენული, სიმსივნის საწინააღმდეგო და ანთების საწინააღმდეგო თვისებები. ის გამოიყენება ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში (ჰიპერტონია, სისხლჩაქცევა, სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება, ჟანგვითი პროცესების შენარჩუნება, დიაბეტი, ათეროსკლეროზი). ის ასევე გამოიყენება ფილტვებისა და კუჭნაწლავის პროფილაქტიკური მკურნალობისათვის, ყელის ტკივილის, სარძევე ჯირკვლების პრობლემების და უძილობის დროს. ფენოლური ნაერთები მოცემულია ეპიგალოკატექინების, ეპიკატექინების, კატექინების, ქლოროგენურ მჟავას, გალის მჟავას და კოფეინის მჟავას სახით. ხურმაში ფენოლების საერთო რაოდენობა შეადგინს 170მგ/100გრ, ყურძენში 100მგ/100გრ, ვაშლში 40მგ/100გრ, პომიდორში 20მგ/100გრ;
- ხურმის ფენოლური ნაერთები 20-ჯერ უფრო ეფექტურია ვიდრე კლასიკური ანტიოქსიდანტი ვიტამინი E;
- ხურმის გემური თვისებების გაუმჯობესება დამოკიდებულია მასში შემავალი ფლავანური ნაერთების (მწკლარტე ნივთიერებების) შემცირებაზე ან გადაფარვაზე;
- ხურმაზე მოთხოვნილების გაზრდა დამოკიდებულია ახალი მომხმარებლისათვის მისაღები ტექნოლოგიების და რეცეპტურების შემუშავებაზე;
- მიზანშეწონილია ხურმისა გადამუშავებისას გამოყენებული იქნას უნარჩენო ტექნოლოგიები;
- მიზანშეწონილია განვითარდეს ხურმის ნახევარფაბრიკატების (კონცენტრატებისა და ფხვნილების) წარმოება, რაც გაზრდის სეზონის პერიოდებს და მოთხოვნილების ხარისხს;

- მიზანშეწონილია ხურმის კუპაჟირებული მაღალგემოვნური პროდუქტების წარმოება, სადაც გადაფარულია მწკლარტე გემო და შენარჩუნებულია ბიოლოგიური ღირებულება;
- ტექნოლოგიური პროცესების დახვეწით და გემოვნური ღირებულებების გაუმჯობესებით მოხერხდება ხურმის პროდუქტებზე მოთხოვნილების გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს წარმოების მასშტაბების გაფართოებას.

## Consumer value of subtropical persimmon and prospects for production expansion

Avtandil Tsintsiskladze<sup>1</sup>; Merab Ardzenadze<sup>2</sup>, Nunu Kutaladze<sup>3</sup>, Dodo Abuladze<sup>4</sup>

<sup>1</sup>Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Agrarian and Membrane Technologies. Doctor of Technical Sciences

<sup>2</sup>Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Agrarian and Membrane Technologies. Doctor of Technical Sciences

<sup>3</sup>Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Agrarian and Membrane Technologies. Doctor of Doctor of Agricultural Sciences

<sup>4</sup>Batumi Shota Rustaveli State University, Institute of Agrarian and Membrane Technologies. Researcher

### Abstract

The article is of a review nature. The morphological characteristics and biochemical indicators of persimmon fruits, and the advantages of the plant concerning other fruits are investigated and presented. Studies show that persimmon has a high nutritional value, but the degree of demand and the scale of production are reduced by the high content of tannic substances (flavonoids). The high content of free flavonoids worsens the taste properties. It should be noted here that flavonoids have a high biological and medicinal value, and their content in persimmon is several times higher than in other fruits.

A review analysis has shown that the removal of free flavonoids improves gustatory quality, but decreases medicinal/biological value. The technological processes should be focused not on the removal of flavonoids, but on covering them, taking into account various taste additives. It is recommended to use supplements of dairy products to cover the milk and increase its nutritional and biological value.

By simplifying the technology of processing persimmon and improving the taste qualities, it will be possible to increase the degree of demand for persimmon, which in turn will lead to an increase in the scale of production. An efficient technology of persimmon processing and the production of intermediate semi-finished products (concentrates and powders) is recommended, which will increase the duration of the persimmon season.

**Keywords:** *Persimmon, persimmon products, persimmon processing*

The present article is of a review nature and its purpose was to investigate the feasibility and prospects of expanding the production of oriental persimmon in Georgia based on the study of the achievements of Georgia and the world. In this direction, our scientific team worked from 1985 to 2000, but due to the termination of project funding, the work was stopped and closed down. Now the means to restore and continue the persimmon project have been found, which allows us to continue

scientific practical measures to increase the consumption of persimmon and create the basis for expanding production.

Subtropical persimmon is one of the important products for Georgian agriculture. It is characterized by high yield, nutritional value, high adaptability to natural conditions and durability, and low production costs. Despite these advantages, its spreading is low compared to other fruit trees. Our studies show that the fruit is mainly used in a raw state. A small percentage of the total volume of produce is used in the production of dried fruit and an even smaller amount is processed for alcoholic beverages. Many of our scientists tried to solve the problem of increasing production volumes through the development of technological processing, but the problem could not be solved due to the influence of objective or subjective factors.

According to the statistics of 2022 [85], Georgia produces 15.4 thousand tons of persimmon, which is about 0.3% of the world's production volume, although this plant is of great importance for the Georgian economy. Georgia supplied raw persimmon fruits and dried fruits to the closed space of the former Soviet Union. Today, this market is open and there is quite a strong competition for this space. For these markets not to be lost for the Georgian economy, it is necessary to offer to the markets higher quality and competitive products.

Three types of persimmon plants [86] are widespread and are of practical importance in Georgia: Virginia (common), Caucasian and oriental (subtropical) persimmon. The first two are used as a rootstock and the third one is for fruit. The fruit persimmon varieties were brought to Georgia from Italy (mainly Japanese varieties) in 1888-1889. They are well adapted to the natural conditions of Georgia and, unlike citrus, today can be found in all regions of Georgia. The yield per hectare is up to 40 tons.

More than 100 varieties of persimmons are common in Georgia. They are divided according to ripening: early ripening (end of October - beginning of November): Tsuru-no-ko, Gosho-gaki, Tanenashi, Nitari, XX century, Mino-tsuru, Seedless; mid-ripening (in November) - Hyakume, Tsuru-gaki, Hachiya, Kuro-kuma, Zenji-mari, Gosho, Fuyu; and the late-ripening varieties (late November - December) - Tsuru, Jiro, Tomopani, Chinebuli, Takura, Gail, Yemon, Kiara, Dai-dai-maru, Aizu Mishirazu [76].

Persimmons are divided according to the degree of astringency: the astringent persimmons - Hachya, Tanenashi, Gosho, Tamopani, Seedless, Early, Soyo, Aizu Mishirazu, Yemon, Kostata; non-astringent - Chinebuli, XX century, Fuyu; variable (their astringency depends on a pollinator) - Hyakume, Gosho-gaki, Zenji-maru, Tsuru-noko, Gail, Maru, Kuro-kuma, Teidelmon [76].

The following varieties are distinguished by relatively large fruits, mm<sup>3</sup>: Hachya - 234.8, Hyakume - 176.8, Tomopani big - 224.1, Chinebuli - 166.5, Gosho-gaki - 161.0, Seedless - 137.3; the following varieties have smaller fruits, mm<sup>3</sup>: Zenji Maru - 107.0, Aizu Mishirazu - 99.7 [76].

Persimmon originates from North China [74]. It was brought to Japan during the Nara period (710 - 794). 800 to 1000 varieties of persimmons are there [73]. Persimmon is a common product in the countries of its traditional production: China, South Korea, and Japan [3]. Recently [4] its popularity

has increased in such countries as Brazil, Spain, Italy, and Portugal. China is the largest producer of persimmon (3.03 million tons), followed by Spain (400,000 tons), South Korea (300,000 tons), Japan (225,000 tons), and Brazil (182,000 tons). The areas of persimmon plantations are also increasing in Portugal. In total, the world volume of persimmon production is up to 5 million tons, which is 0.75% of the world's fruit production. Persimmon is a seasonal product; it is available within a very short period of the year. It can be bought in Europe in late autumn and early winter (September - December) [5,6].

The Caucasus is also considered the homeland of persimmon. The Caucasian persimmon species are common here. About 190 species and up to 100 varieties can be found in Georgia. Some of them are fruit-bearing, and some are used as valuable timber. The varieties of fruit-bearing plants are mainly imported from Japan, some varieties are bred locally. Persimmons are harvested in the period from October to December [76].

Many studies have been conducted on persimmon. According to the research of some authors, the fruit contains 80.3% water, 0.58% proteins, 0.19% fats, 18.6% carbohydrates, and some minerals (calcium, potassium, magnesium, sodium, iron, zinc, copper, manganese, phosphorus, selenium), 1.48 g of cellulose and 7.5 mg of ascorbic acid [21,22]. The nutritional and biological value of persimmons is described in detail in the scientific source [2], according to which the recommended daily norm of persimmons is 100-150 g [23].

The contribution of Georgian scientists to the study of persimmon fruit is great. Fundamental studies were conducted in this direction in the 70s of the last century. The biochemical parameters of 27 types of persimmon fruits were studied [76]. Data show that persimmon is a product of high nutritional value. The content of dry matter varies from 14.1 to 22.4%. Among them, sugars are given in the form of glucose-fructose and the content varies from 14.2 to 20.5%. Persimmon contains sucrose in a very small amount - from 0.2 to 2.4%. The content of pectin is high - from 0.5 to 2.1% (mainly protopectin). Persimmon is characterized by low acidity - from 0.004 to 0.17%. The content of polyphenols, which varies between 0.06 and 2.35%, is particularly noteworthy. The feeling of astringency depends on their content. Researches show that this indicator determines the degree of demand in the market. The demand for non-astringent persimmons is relatively high. It should be noted here that the content of polyphenols determines the resistance of persimmon fruits to various phytopathogenic microorganisms. The content of vitamin C in persimmon fruits is lower compared to citrus fruits (7.4 - 26.6 mg%). Although the fruits are yellowish, the content of carotenoids in persimmon is relatively low: 0.033 - 0.38 mg%). It seems that the yellow color is determined by lycopene, which content is 10-20 times more than that of carotin [76].

Hosseininejad, Gonzalez, and Hernando in their research [55] on the topic "Production of food products and ingredients at the expense of increasing the value of by-products of agro-industrial processing" state that persimmon is rich in nutritional and bioactive substances. However, due to the influence of perishability, low storage capacity, low transportability, and other factors, it is characterized by high losses. Therefore, they aimed their research in the direction of developing

technologies for persimmons, which take into account the management of valuable waste and the production of new types of products.

Article [1, 2] mentions that the phytochemical profile of persimmon consists of carotenoids, anthocyanins, organic acids, and phenolic compounds, which determine its biological value. These substances improve human health and reduce cardiovascular, tumors, diabetes, and obesity diseases. In the conditions of the global food crisis, it is advisable to include persimmon products in the diet. Also, the use of persimmons to obtain various products (biofuel, natural dyes, growth regulators, biodegradable polymers, antimicrobial drugs, and emulsifiers) should be expanded. The waste-free production is to be developed.

Nutrients are more abundant in the peel than in the pulp [7], although it is usually wasted during raw consumption and dried fruit production. Dried fruit production is widely used in China and Japan and it is used in many culinary recipes [8].

Persimmon is widely used in traditional Chinese medicine (hypertension, hemorrhage, maintenance of body temperature, maintenance of oxidative processes, diabetes, atherosclerosis) [9, 10, 11]. It is also used for preventive treatment of the lungs and gastrointestinal tract, sore throat, problems of mammary glands, and insomnia [12, 13].

According to some studies, persimmon has an anti-tumor effect [14,15], protects against dyslipidemia [16], and promotes anti-hypercholesterolemic, antioxidant, and anti-diabetic effects [17,18,19]. These properties are directly related to persimmon antioxidants, vitamins, phenolic compounds, and carotenoids [13,20].

If we compare the biological and nutritional value of subtropical persimmon with other fruits common in Georgia, we will see that its indicators are in no way inferior to the indicators of the nutritional value of any fruit of high nutritional value (figs, grapes, some varieties of apples), and it has a much higher nutritional value than citrus fruits.

The analysis of the results of our studies demonstrates that if technological problems are solved, persimmon can become a highly profitable raw material and bring significant income to the economy. It should be noted that the plant is highly frost-resistant (minimum temperature is  $-20^{\circ}\text{C}$ , compared to citrus minimum temperature  $-3 -7^{\circ}\text{C}$ ), high-yielding and low-cost. The mentioned situation needs to be corrected and to solve this problem, it is necessary to work in the direction of selective and technological improvement.

